შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№43 (9.559)

16 ნოემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

დასამკვიდრებლად დროა საჭირო

საქართველოში ღვინის მოხმარება წლების განმავლობაში თანდათან მცირდება. რატომ? იმიტომ რომ, თანამედროვე ახალგაზრდობა უპირატესობას ლუდს და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს ანიჭებს.

ხორბლის მცირე მოსავლის პარალელურად, წელს მსოფლიოში ყურძნის მცირე მოსავალიცაა. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, მსოფლიოში ღვინის დეფიციტი გამოიწვიოს. ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით, წელს მსოფლიოში ღვინის წარმოების მაჩვენებელმა 1975 წლის შემდეგ, შესაძლოა ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწიოს. ასოციაციაში ფიქრობენ, რომ მცირე მოსავლის გამო ყველაზე მეტად იზარალებენ ღვინის არგენტინელი მწარმოებლები, სადაც ნავარაუდევია წარმოების შემცირება 24%-ით. ზარალს ვერც მსოფლიოში ღვინის მთავარი მიმწოდებლები - იტალია და საფრანგეთი ასცდება.

ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ასოციაციაში ვარაუდობენ, რომ ღვინის წარმოების მოცულობის შემცირება ღვინოზე ფასების ზრდას გამოიწვევს. და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში ღვინოზე მოთხოვნა იზრდება, უმეტესად კი განვითარებად ქვეყნებში. ასოციაციაში ფიქრობენ, რომ წელს შესაძლოა ღვინოზე მოთხოვნამ მიწოდებასაც გადააჭარბოს. ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ასოციაციის წევრ კომპანიებში არ მალავენ, რომ მიწოდების უზრუნველყოფა მათ უკვე არსებული მარაგების ხარჯზე უწევთ. ასოციაციის პროგნოზით, საერთო ჯამში მსოფლიო მასშტაბით ღვინის წარმოება მიმდინარე წელს 250 მილიონი ჰექტალიტრით შემცირდება, რაც დაახლოებით 33 მილიარდი ბოთლია. ამასთან ერთად საინტერესოა, რომ ღვინის მსხვილი მწარმოებლებიდან ერთ-ერთი - ამერიკის შეერთებული შტატები, სანინაალმდეგო ტენდენციის დემონსტრირებას ახდენს და აცხადებს, რომ წელს ღვინის წარმოებას 7%-ით გაზრდის.

ექსპერტთა წინასწარი შეფასებებით, ღვინის წარმოება მსოფლიოში 6,1%-ით შემცირდება წლევანდელი მოსავლიდან გამომდინარე. ძალიან ბევრ, მეღვინეობის წამყვან ქვეყანაში საგრძნობლად მცირე მოსავალი მოვიდა და ეს, პირველ რიგში კლიმატური პრობლემებით იყო განპირობებული. წლის სხვადასხვა პერიოდში ძალიან დაზარალდა ვაზი და შესაბამისად მოსავალიც მცირე მოვიდა. საქართველოშიც საკმაოდ მცირემოსავლიანი წელი იყო, რაც პირველ რიგში ზაფხულში, ივლისის თვეში კახეთში მომხდარმა ბუნებრივმა სტიქიურმა მოვლენებმა განაპირობა. როცა მსოფლიო მასშტაბებით ისეთ მცირე რეგიონში, როგორიც კახეთია, 5000 ჰექტარზე მეტ ფართობზე 100%-ით ნადგურდება მოსავალი და ზოგან ვენახიც, ეს კატასტროფაა და იგი არამხოლოდ წლევანდელ მოსავალზე, არამედ სამწუხაროდ, მომავალი წლის მოსავალზეც აისახება, ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც.

იმის შესახებ, რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა ტენდენციამ და გაიზრდება თუ არა ღვინის ფასი, ამ საკითხებზე გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს „შირაქის ფერმერთა სახლის“ თავმჯდომარეს ვახტანგ კიკილაშვილს ესაუბრა.

- ღვინის მწარმოებელი ქვეყნები აცხადებენ, რომ ბაზარზე მიწოდების უზრუნველსაყოფად უკვე უწევთ მარაგების გამოყენება, რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა ტენდენციამ, გაიზრდება ღვინის ფასი და აისახება თუ არა ეს საქართველოს შიდა ბაზარზე?

- ჩემი აზრით, შიდა ბაზარზე ეს პროცესები ნაკლებად აისახება, იმდენად, რამდენადაც, საქართველოში ღვინის მოხმარება წლების განმავლობაში თანდათან მცირდება. რატომ? იმიტომ რომ, თანამედროვე ახალგაზრდობა უპირატესობას ლუდს და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს ანიჭებს. არაერთხელ შევხვედრივარ ქართულ სუფრაზე არაყს, კონიაკს, ვისკის... აქედან გამომდინარე, მგონია, რომ მეტი ღვინო ინარმოება საქართველოში, ვიდრე შიდა ბაზარი მოითხოვს.

- უკვე წლებია, საქართველოში მწვავედ დგას ღვინის რეალიზაციის პრობლემა, განსაკუთრებით რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ, რამდენად შესაძლებელია, რომ ჩვენ ეს ვითარება სასიკეთოდ გამოვიყენოთ, გვაქვს პოტენციალი, რომ სწორედ ახლა გავიდეთ ჩვენი ღვინით იმ ბაზრებზე, სადაც მაღალი კონკურენციის გამო ადგილის დამკვიდრება გვიჭირდა, თუ ისევ რუსეთის ბაზრის გახსნას უნდა დაველოდოთ?

- არის ამის შანსი, განსაკუთრებით თუ იაფფასიან ღვინოებზე მოთხოვნა გაიზრდება უცხოეთში. საზღვარგარეთ ღვინის გაყიდვას სჭირდება საკმაოდ სერიოზული მუშაობა რეკლამის თვალსაზრისით,რაც მხოლოდ თანხებში არ გამოიხატება და ამას სჭირდება სერიოზული დრო, რომ მან ევროპის და ამერიკის ბაზარზე თავისი ადგილი იპოვოს. რუსეთში ჯერ კიდევ არის მეხსიერება ქართული ღვინის და მას გააჩნია ავტორიტეტი. და ამ ბაზარზე, შესაძლოა, მეტად ნაკლები სარეკლამო დანახარჯებით მოხდეს ამ იმიჯის აღდგენა, რაც გააჩნდა ქართულ ღვინოს. ამასთანავე, ვთვლი, რომ რუსეთის ბაზარი პირველი ეტაპისთვის, სანამ ქართული ღვინო მსოფლიო ღვინოებს შორის თავის ნიშას დაიმკვიდრებს, აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ბიზნესის კანონებიდან გამომდინარე, ღვინის წარმოება კიდევ უფრო შემცირდება.

- არსებობს მოსაზრება, რომ ღვინის დეფიციტი პროდუქციის ფალსიფიცირების საფრთხეს შექმნის. რამდენად რეალურია ეს მოსაზრება?

- წინა ხელისუფლებამ შეამცირა ფალსიფიცირებული ღვინის რაოდენობა ბაზარზე. ამან ღვინის ქარნებს მისცა ხარისხიანი პროდუქციის წარმოების საშუალება და ინტერესი.

ვახტანგ კიკილაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ღვინის ფალსიფიკაციის საფრთხე არ არსებობს, თუმცა, თვლის,რომ დედოფლისწყაროში მევენახეობის განვითარებისთვის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაა აუცილებელი, რომელიც დღეს, ალაზნის ტერიტორიაზე პრაქტიკულად ლიკვიდირებულია.

ინგა შიოლაშვილი

კიდევ ერთი დეპუტატი დედოფლისწყაროდან



გვ. 3

„მერსი ქორფი“-ს კიდევ ერთი ინიციატივა

გვ. 4

ტრაგედია ოზაანის ტბაზე

გვ. 7

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ბიძინა ივანიშვილი: შერჩევით სამართალს არ დავუშვებთ

„ევროპაში ვიზიტის დროს, მე დავარწმუნე ყველა, რომ პროცესი იქნება გამჭვირვალე და ამავეს გპირდებით თქვენც. ჩვენი ხელისუფლება არ დაუშვებს შერჩევით სამართალს " - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აშშ–ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონთან შეხვედრის შემდეგ.

„ჩვენ ვისაუბრეთ იმ წინსვლაზე, რომ ჩვენ მოვახერხეთ და არჩევნების გზით გადავიბარეთ ხელისუფლება. ამავდროულად დიდი სურვილი აქვს აშშ-ს, ევროპას საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ დაჭერის პროცესები მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს. ვიზიარებ მათ წუხილს და კარგად მესმის, რომ როცა ასეთი ძალა მოდის და ასეთი დაჭერები ხორციელდება, ბევრი კითხვა ჩნდება განსაკუთრებით დემოკრატიული ქვეყნებიდან, რომელნიც ასეთ პროცესებს შეჩვეული არ არიან: ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების პირებს იჭერს და ჩემთვის მათი შეშფოთება გასაგებია. ჩვენ ვცდილობთ და მომავალშიც შევეცდებით, რომ მაქსიმალური განმარტებები გავაკეთოთ და მაქსიმალურად ავუხსნათ ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს და პირველ რიგში აშშ-ს", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ფილიპ გორდონთან შეხვედრის შემდეგ.

ვანო მერაბიშვილი: „შოთა ხიზანიშვილი პირადად ჩემზე ზეწოლის მოსახდენად დააკავეს"

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, შოთა ხიზანიშვილი მერაბიშვილზე ზეწოლის მოსახდენად დააკავეს.

ამის შესახებ მერაბიშვილმა პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"პირველ რიგში, გამოვეხმაურები ჩემი პირადი მეგობრის, 9 წლის განმავლობაში ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შოთა ხიზანიშვილის დაკავებას. ის არის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი ადამიანი, იგი ყოველთვის ჩემთან ერთად იყო, ბოლო თვეებში ის ვიცე-მერი გახდა. მე ვიცი, რომ მისი დაკავება იმისთვის მოხდა, რომ პირადად ჩემზე ზეწოლა მოხდეს, ვინაიდან ის არის ჩემი ძალიან ახლო მეგობარი, ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ, მაგრამ ნუ ექნება ბიძინა ივანიშვილს იმედი, რომ ასეთი ნაბიჯებით ჩვენს რიგებში შიშს ან შეშფოთებას შემოიტანს. პირიქით, ეს ჩვენ უფრო გაგვაძლიერებს და ჩვენ ივანიშვილის ასეთი ნაბიჯების არ შეგვეშინდება", - განაცხადა მერაბიშვილმა.

კომპანია „ნატახტარში" ჩამდინარე წყლის ფილტრაციის სისტემა ამუშავდა

კომპანია " ნატახტარში" ჩამდინარე წყლის დამუშავებისა და ფილტრაციის თანამედროვე სისტემა სატესტო რეჟიმში ამუშავდა.

ნატახტარმა წყლის გამწმენდი თანამედროვე სისტემის დანერგვაზე მუშაობა 2010 წლის ბოლოს დაიწყო და პროექტის შემუშავების შემდეგ დაიწყო მშენებლობა.

კომპანია "ნატახტარის" ტექნიკური დირექტორის გიორგი ქოქიაშვილის თქმით, ჩამდინარე წყლის დამუშავებისა და ფილტრაციის სისტემის დამონტაჟებაში " ნატახტარის" პარტნიორი გერმანული კომპანია "CUSS"-ია. ამავე კომპანიის დახმარებით მოხდა ქარხანაში სისტემისთვის პროექტის შემუშავება და სწორედ მათ უზრუნველყვეს მოწყობილობები, მონტაჟი და სისტემის სისრულეში მოყვანა.

ქოქიაშვილის განმარტებით, დღეისათვის კომპანია "ნატახტარს" აქვს წყლის დამუშავებისა და ფილტრაციის თანამედროვე სისტემა, რომელიც დამუშავების თანამედროვე , ევროპული და მსოფლიო სტანდარტებით უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების მაქსიმალურ სისუფთავეს.

აღნიშნული პროექტისთვის უკვე განხორციელდა 6 მილიონი ლარის ინვესტიცია. ტესტირების რეჟიმში მომუშავე სისტემა უახლოეს მომავალში სრული დატვირთვით შევა ექსპლუატაციაში.

გერმანული კომპანია "CUSS" წყლის გასუფთავების ინდუსტრიაში ერთ- ერთი მოწინავე კომპანიაა.

ბაჩო ახალაიასთვის საპატიმრო დაწესებულების შეცვლა დავის საგანი გახდა

ბაჩო ახალაიას საპატიმრო ადგილმდებარეობის შეცვლას მისი გულშემატკივრები აპროტესტებენ, როგორც მასზე „ფსიქოლოგიური ზეწოლის" მცდელობას, სასჯელაღსრულების სამინისტრო კი ამ ნაბიჯს ბრალდებულის უსაფრთხოებაზე ზრუნვით ხსნის.

შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელიც 2008 წლამდე ასევე ხელმძღვანელობდა სასჯელაღსრულების სისტემას, წინასწარ პატიმრობის შეფარდებიდან დღემდე გლდანის ციხეში იყო მოთავსებული.

სასჯელაღსრულების სამინისტრომ 14 ნოემბერს განაცხადა, რომ ბრალდებულ ახალაიას ეტაპირება №7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ასეთივე ტიპის მე-8 დაწესებულებიდან „მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდა".

ახალაიას გულშემატკივრებმა, მათ შორის ოჯახის წევრებმა და დეპუტატებმა ნაციონალური მოძრაობიდან გააპროტესტეს ახალაიას გადაყვანა ციხეში, სადაც მათი თქმით, ე.წ. კანონიერი ქურდები იხდიან სასჯელს. მხარდამჭერები ხაზს უსვამენ, რომ ახალაიამ დიდი როლი შეასრულა კანონიერი ქურდების „წელში გადატეხვაში".

ადვოკატმა დავით დეკანოიძემ, რომელმაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი ციხეში მოინახულა, განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ახალაია ორთაჭალის ციხეში გადაყვანას უკავშირებს იმას, რომ „უნდოდათ მოეხდინათ ფსიქოლოგიური ზეწოლა მასზე"

„კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ამ ადამიანებს აქვს მცდელობა ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინონ ბაჩო ახალაიაზე", - განაცხადა დეპუტატმა ნაციონალური მოძრაობიდან აკაკი მინაშვილმა მე-7 საპყრობილესთან და მოითხოვა, რომ დეპუტატების გარკვეულ ჯგუფს, სანამ ახალაია ორთაჭალის ციხეში რჩება, მიეცეთ მასთან „ულიმიტო შესვლის და ყოფნის უფლება".

მანამდე დეპუტატების ჯგუფი ნაციონალური მოძრაობიდან სასჯელაღსრულების მინისტრს სოზარ სუბარს შეხვდა და ახალაიას გლდანის ციხეში დაბრუნება ან იმ სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანა მოითხოვა, სადაც სამართალდამცავი უწყებების ყოფილი თანამშრომლები იხდიან სასჯელს. თუმცა დეპუტატების განცხადებით, ეს შეხვედრა „უშედეგოდ" დამთავრდა.

სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ მე-7 დაწესებულებაში ახალაის აქვს „გაცილებით უკეთესი პირობები, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო რომელიმე სხვა დაწესებულებაში".

მისი თქმით, ამ დაწესებულებაში, სადაც სულ 35 პატიმარი იხდის სასჯელს, ახალაია მოთავსებულია ოთხ ადგილიან საკანში, რომელიც სრულიად იზოლირებულია სხვა პატიმრებისგან და სადაც მას შეუძლია გამოიყენოს გასეირნების უფლება. ასევე მისი უსაფრთხოება 24 საათიან რეჟიმში უზრუნველყოფილია დაცვისა და სათვალთვალო კამერების საშუალებით. ასევე მისი მონახულების საშუალება აქვთ სამუშაო საათებში ადვოკატებს, ხოლო დღეღამის ნებისმიერ დროს სახალხო დამცველის აპარატის და საზოგადოებრივი მონიტორინგის 51-წევრიანი ჯგუფის წარმომადგენლებს. ამ უფლებით დღეს რამდენიმე ადამიანმა ისარგებლა.

სუბარმა განაცხადა, რომ ახალაიას მხარდამჭერების პრეტენზიები „უსაგნო" და „ხელოვნურია", რადგან არანაირი ფსიქოლოგიური ზეწოლის განზრახვა ახალი ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს.

„ერთადერთი რაზეც ვზრუნავთ არის მისი უსაფრთხოება", - განუცხადა მან „რუსთავი 2"-ს, „ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მის არა მხოლოდ უსაფრთხოებაზე, არამედ იმაზე მის მიმართ არ ქონდეს უმცირეს დარღვევებსაც კი ადგილი".

ახალაიას ეტაპირების გადაწყვეტილება მინისტრმა იმით ახსნა, რომ მის ხალხმრავალ ციხეში ყოფნას შესაძლოა გამოეწვია „ზედმეტი ხმაური, რომლის განეიტრალებასაც შეიძლება დასჭირდეს ზედმეტი ძალისხმევა".

„მე-8 საპყრობილეში არის არა 35, არამედ ათასობით ადამიანი, რომლებიც რიგ შემთხვევაში ძალიან მძიმე დანაშაულში არიან ბრალდებულები ან მისჯილები, რომელთაც ახსოვთ ძალიან მძიმე დღეები იმ ხელისუფლებისგან, რომელსაც ბაჩო ახალაია წარმოადგენდა, მათ შორის წამება", - განაცხადა მან.

იმავდროულად, სახალხო დამცველის აპარატმა განაცხადა 14 ნოემბერს, რომ მისმა რწმუნებულებმა ახალ საპატიმრო ადგილას მოინახულეს ახალაია, რომელმაც განუცხადა, რომ „მის მიმართ არანაირი სახის არასათანადო მოპყრობა არ განხორციელებულა, ჯანმრთელობის პრობლემა არ აწუხებს და არც ადმინისტრაციის მიმართ აქვს რაიმე სახის პრეტენზია, თუმცა დაწესებულების სპეციფიკური კონტინგენტიდან გამომდინარე, გამართლებულად არ მიაჩნია მისი N7 დაწესებულებაში განთავსება".

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატმა მოუწოდა სასჯელაღსრულების სამინისტროს, რომ განიხილოს ბაჩო ახალაიას მე-7 დაწესებულებაში განთავსების მიზანშეწონილობის საკითხი.

სოზარ სუბარის განცხადებით, სამინისტრო განიხილავს ამ საკითხს, თუკი ჩათვლის, რომ შესაძლებელია მისი იმ სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანა, სადაც ყოფილი ჩინოვნიკები იხდიან სასჯელს. ამ ეტაპზე, მისი თქმით, მიზანშეუწონელი იყო ამის გაკეთება არსებული „სხვა ინფორმაციების" გამო, რომლის დაკონკრეტებისაგანაც მან თავი შეიკავა, თუმცა განაცხადა, რომ მომდევნო დღეებში „ჩვენ შეგვეძლება ამაზეც ვილაპარაკოთ".

თავისუფალი აზრი

მედიაომი

საქართველოში, რამდენიმე წელია, თითქმის ტენდენციად იქცა-თუ გაქვს საკუთარი მედია-საშუალება, განსაკუთრებით ტელევიზია, შეგიძლია მოიგო არჩევნები. რა თქმა უნდა, თუ ქვეყანაში არსებობს უამრავი სოციალური და სამართლებრივი სახის პრობლემა და მოსახლეობის დიდ ნაწილს ცვლილებების მოთხოვნა აქვს.

ტელე-რევოლუციების ეპოქას დასაბამი 2003 წელს მიეცა, როცა „რუსთავი-2"-ის მიერ ნაწარმოებმა წინასაარჩევნო კამპანიამ სერიოზული გამარჯვება მოუტანა „ვარდოვან ხელისუფლებას". რევოლუციის სახელწოდების ავტორიც სწორედ ამ ტელეკომპანიის ერთ-ერთი სახე გახლდათ. მერე იყო „გამარჯვებული ხალხის"ტელევიზიის მიერ საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა, რაც სიმართლის მსახურებაში მდგომარეობდა და ტელე-მმართველობის პერიოდის დასაწყისი. თუ 2003 წლის რევოლუციის დროს გარდამტეხი როლი ითამაშა მაშინდელმა ოპოზიციურმა არხმა, დაახლოებით იგივე სცენარის მომსწრე გახდა ქართული საზოგადოება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდშიც. რომ არა ტელეკომპანია მეცხრე არხი, საზოგადოებას ალბათ გაუჭირდებოდა იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არჩევნებში მიიღო. სწორედ ამიტომაც იყო განსაკუთრებული ზეწოლა ამ ტელევიზიაზე, ყველას კარგად ახსოვს სატელიტური „თეფშების დაპატიმრების" ცნობილი ფაქტები, რომელმაც მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. კომპრომატების ომიც ტელეეკრანებიდან მიმდინარეობდა წინასაარჩევნო პერიოდში და ციხეში არაადამიანური მოპყრობის კადრებიც სწორედ ოპოზიციური არხის მეშვეობით იხილა მაყურებელმა.

არჩევნების დასრულებისა და ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ისევ აქტუალურია ტელევიზიების თემა და მედია ბაზრის გადანაწილება. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „რუსთავი-2"-ის აქციათა საკონტროლო პაკეტი ტელეკომპანია „საქართველომ" შეიძინა, მის გენერალურ დირექტორად კი „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი ნიკა გვარამია დაინიშნა. ის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და განათლების მინისტრის პოსტებს იკავებდა წინა ხელისუფლების დროს. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე დოკუმენტური ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე".

პოსტრევოლუციურ საქართველოში, არა ნოემბრის, არამედ ოქტომბრის შემდეგაც, ხელისუფლებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც კვლავ პრიორიტეტულია ელექტრონული მედიის ფლობის საკითხი. არავინ კითხულობს, რა სურთ თავად მედიასაშუალებებს. ყველა ჟურნალისტის მოთხოვნა მისი პროფესიული სტანდარტების დაცვა უნდა იყოს და არა პოლიტიკური ბრძოლის არენაზე მუდმივი ყოფნა. ახალი ხელისუფლება პირობას დებს, რომ მედიას გაათავისუფლებს ყველანაირი ზეწოლისგან. ამ პირობის შესრულების შემთხვევაში, ვფიქრობ, ყველა ჟურნალისტი არჩევანს პროფესიის სასარგებლოდ გააკეთებს და აღარ დაუშვებს მედიაომში მონაწილეობას რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მხარედ.

ინგა ჯიოლაშვილი

კახეთში მიყენებულ ზარალს ხელახლა ითვლიან

თელავსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში სტიქიით მიყენებულ ზარალს ხელახლა ითვლიან. მიმდინარე წლის 19 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად ყველაზე დიდი ზიანი თელავმა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანის მოსახლეობამ მიიღო.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების განცხადებით, შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სამუშაოს გაიოლების მიზნით, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის კომისიას ახალი ბაზა მოუმზადა, რის საფუძველზეც კომისიის წევრები უახლოეს მომავალში დაზარალებული მოსახლეობის ზუსტი ზარალის აღწერას მოახდენენ.

მოსახლეობა მედიასთან საუბარში ამბობს, რომ წინა ხელისუფლების მიერ გადახდილი კომპენსაცია არასაკმარისი აღმოჩნდა მათთვის.

კუდ-ის უფროსი დააკავეს

კუდ-ის უფროსი ლევან ქარდავა რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ დააკავეს. როგორც მისმა ადვოკატმა კახა შონიამ განაცხადა, ქარდავას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 158-ე მუხლის მე-3 ნაწილით წაეყენა. 333-ე მუხლის პირველი ნაწილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ხოლო 158-ე მუხლის მე-3 ნაწილი ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებას ან გავრცელებას გულისხმობს.

„ლევან ქარდავა წაყენებულ ბრალდებას არ ეთანხმება და თავს დამნაშავედ არ ცნობს", - აღნიშნა კახა შონიამ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს დანარჩენ დაკავებულ მაღალჩინოსნებს, ადვოკატის ინფორმაციით, მათ ნაწილს ბრალი ოფიციალურად უკვე წარედგინა, ნაწილს კი ასევე დღეს წაეყენება.

კიდევ ერთი დეპუტატი დედოფლისწყაროდან

ალექსანდრე თამაზაშვილი პარლამენტის წევრი გახდა

რამდენიმეკვირიანი სასამართლო დავების, ორივე ინსტანციის სასამართლოს მხრიდან უარყოფითი გადაწყვეტილებისა და საპროტესტო აქციების შემდეგ „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ალექსანდრე თამაზაშვილი პარლამენტის წევრი გახდა. მან დეპუტატის მანდატი პროპორციული სიით მას შემდეგ მიიღო, რაც „ქართული ოცნების” დეპუტატთა ნაწილმა მუშაობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში განაგრძო. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, თამაზაშვილმა საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ადგილი დაიკავა.

ახალი წევრები პარლამენტმა 13 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა. პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო პარლამენტის გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეთა უფლებამოსილების ცნობის საკითხი. საბოლოო ჯამში დეპუტატებმა 10 ახალი წევრის უფლებამოსილება ცნეს.

პროპორციული სიით არჩეული იმ დეპუტატების ნაცვლად, რომლებმაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლეს, პარლამენტმა შემდეგი 10 ახალი წევრის უფლებამოსილება სცნო. **ირაკლი ალასანიას ნაცვლად პარლამენტში გიორგი ცაგარეიშვილი შევიდა, ირაკლი ღარიბაშვილის ნაცვლად – მახირ გაზიევი, მაია ფანჯიკიძის ნაცვლად — თამაზ მეჭიაური, ნოდარ ხადურის ნაცვლად — ალექსანდრე თამაზაშვილი, სოზარ სუბარის ნაცვლად — თენგიზ ხუბულური, ალექსი პეტრიაშვილის ნაცვლად — თამაზ შიოშვილი, მირიანე ოდიშარიას ნაცვლად — ოთარ ჩრდილელი, პაატა ზაქარეიშვილის ნაცვლად — ფრიდონ საყვარელიძე, გელა ხვედელიძის ნაცვლად — დავით ლორთქიფანიძე და ლაშა ნაცვლიშვილის ნაცვლად — ომარ ნიშნიანიძე.**

ალექსანდრე თამაზაშვილი უკვე ქუთაისში იმყოფება. მან გაზეთ „შირაქთან“ ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა.

„პარტიულ სიაში 63-ე ნომერი ვიყავი და პარლამენტში ახლა შევდივარ. თუმცა, სამართალს ჯერ არ უზეიმია. ჩვენი მიზანი პარლამენტში მოხვედრა არ ყოფილა... როგორც ცნობილია, არასამთავრობებმა პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს და დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის შედეგების გაუქმებას ითხოვენ. სამართლიანობა მაშინ აღდგება, როცა ოლქის შედეგები გაუქმდება. ამჟამად ქუთაისში ვიმყოფები და კვლავაც აქტიურ მუშობას ვგეგმავ,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ალექსანდრე თამაზაშვილმა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს ოლქში 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების მიხედვით „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობასთან“ შედარებით 275 ხმით ლიდერობს, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიამ განსხვავებული სურათი დააფიქსირა მაჟორიტარულ არჩევნებში. ნაცმოძრაობის კანდიდატი ზაზა კედელაშვილი ბიძინა ივანიშვილის მიერ დასახელებულ კანდიდატს, ალექსანდრე თამაზაშვილს მცირე სხვაობით უსწრებს.

სასამართლო პროცესების მიუხედავად დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი ზაზა კედელაშვილს ერგო.

ცნობილია, რომ კოალიციამ „არჩევანის თავისუფლებისთვის“ სიღნაღის №13 საარჩევნო ოლქში საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბების და დედოფლისწყაროს რაიონში ხორნაბუჯის საარჩევნო უბანზე გამოვლენილი დარღვევების გამო, პროკურატურას საჯარო მოხელეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს მაცხოვრებლები აცხადებდნენ, რომ №18 საუბნო კომისიის წევრები და სოფლის რწმუნებული არტაკ აივაზიანი მათ აიძულებდნენ, შემოხაზული ბიულეტენი გარეთ გამოეტანათ, მათთვის ეჩვენებინათ და ისე ჩაეგდოთ საარჩევნო ყუთში. ამ ფაქტს ადასტურებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ლამზირა სურმანიძეც. აღნიშნული ქმედებით თანამდებობის პირები ხელს უშლიდნენ ამომრჩეველთა ნების თავისუფლად გამოვლენას, რითაც ირღვევა სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი: ასევე, 22-ე საარჩევნო უბანზე (სოფელი ხორნაბუჯი) მოქალაქე ვენერა მარტყოფლიშვილი ხმის მიცემის პროცესში მუდმივად არღვევდა ხმის მიცემის ფარულობას, ამომრჩევლებს სისტემატურად მიჰყვებოდა ხმის მიცემის კაბინაში და „ეხმარებოდა“ საარჩევნო ბიულეტენში სასურველი ნომრის შემოხაზვაში. ამით ირღვეოდა საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსის“ 164 მუხლი“, — აღნიშნულია კოალიციის განცხადებაში.

„ვინაიდან აღნიშნულმა დარღვევებმა არსებითი გავლენა იქონია ამ ოლქებში მაჟორიტარული არჩევნების შედეგებზე, მივმართეთ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, შეისწავლოს აღნიშნული ფაქტები“, — ამბობს „არჩევნის თავისუფლებისთვის“ ხელმძღვანელი ირაკლი მელაშვილი.

პარლამენტის მიერ თამაზაშვილის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ კომენტარი გააკეთეს ქართული ოცნების დედოფლისწყაროს შტაბში. ისინი აცხადებენ, რომ თამაზაშვილი პარლამენტში აქამდეც უნდა მოხვედრილიყო. შტაბში იმედი აქვთ, რომ პროკურატურა დედოფლისწყაროში არჩევნების შედეგებს გააუქმებს.

„მიუხედავად მცირე პოლიტიკური გამოცდილებისა, მას ისეთ დაძაბულ და საშიშ პერიოდში მოუწია პირველი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, რომ ბევრი რამ ისწავლა. ძალიან მიხარია, რომ პარლამენტმა მისი უფლებამოსილება ცნო და წარმატებებს ვუსურვებ! ლექსო ზედმინევნით ორგანიზებული, ნიჭიერი, ფრთხილი და პატიოსანი ახალგაზრდაა. დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის პროფესიულ ცოდნას და მიღებულ გამოცდილებას ნაყოფიერად გამოიყენებს საპარლამენტო საქმიანობაში. ლექსო იქნება თავისი შესანიშნავი ოჯახის, მრავალრიცხოვანი მეგობრების, ჩვენი რაიონის და ''ქართული ოცნების'' ღირსეული წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს შტაბის ერთ-ერთმა ლიდერმა ლია კვაჭაძემ.

ილია მარტყოფლიშვილი

სამთაწყაროს ხიდის გახსნის საკითხს პარლამენტი განიხილავს

პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი, რომლის უფლებამოსილებაც საკანონმდებლო ორგანომ სულ რამდენიმე დღის წინ სცნო, სამთაწყაროელების პრობლემით დაინტერესდა. თამაზაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში რამდენიმე დღის წინ გამართულ საპროტესტო აქციას ეხმაურება.

დეპუტატი მზადყოფნას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სამთაწყარო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის გახსნის საკითხი პარლამენტში ოფიციალურად დააყენოს.

„ჩემი ინფორმაციით, მთავრობაში ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და ალბათ კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებენ. თუ საქმე ხალხის სასარგებლოდ არ გადაწყდება, მაშინ მე ყველაფერს გავაკეთებ მათ დასახმარებლად“, — განაცხადა ალექსანდრე თამაზაშვილმა.

შეგახსენებთ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ადგილობრივებმა ხიდის გახსნის მოთხოვნით საპროტესტო აქცია ორჯერ გამართეს და ხიდის დაკეტვაში კახეთის ყოფილი გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი დაადანაშაულეს. მათი განმარტებით, ცისკარიშვილის ბიზნეს-ინტერესების წყალობით ადგილობრივები დაზარალდნენ.

გასულ წლებშიც ამავე მოთხოვნით საპროტესტო აქციები ინტენსიურად იმართებოდა. ხიდი 2008 წლის აპრილში წინასაარჩევნო პერიოდში დროებით გახსნეს, რომელიც მალევე დაიკეტა.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში, საქართველო — აზერბაიჯანის საზღვართან მცხოვრებმა ჰერებმა ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელი, ე.წ. მუღანლოს ხიდის გახსნის მოთხოვნით სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან საპროტესტო აქცია 14 ნოემბერს გამართეს.

ადგილობრივებმა, რომელთა უმეტესი ნაწილი საინგილოდან არის ჩამოსახლებული, საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის გახსნა ახალი ხელისუფლებისგან მოითხოვეს. გიორგობის დღესასწაულს ისინი საინგილოში მდებარე ქურმუხის ტაძარში გრანდიოზულად აღნიშნავენ. მათი თქმით, 23 ნოემბრისთვის დინარე წლის 24 ოქტომბერსაც მოითხოვეს.

აქციის მონაწილეების თქმით, მათ ხშირად უწევთ საინგილოში წასვლა, რისთვისაც, ჩაკეტილი ხიდის გამო, ზედმეტ კილომეტრებს ფეხით დადიან. მათივე თქმით, ხიდზე გადაადგილების საშუალება სამთაწყაროელებს ყოფილმა ხელისუფლებამ და, კერძოდ, გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა კონტრაბანდის აღკვეთის მოტივით შეუზღუდა. თუმცა, როგორც ამბობენ, აღნიშნულ გზაზე კონტრაბანდული ტვირთის გადატანა ხელისუფლებისა და მათთან დაახლოებული პირებისთვის არ შეზღუდულა.

შეგახსენებთ, 2011 წლის ივნისში, დედოფლისწყაროში გამართულ პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის გასვლით სხდომაზე მაშინდელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმა ხიდის გახსნის აუცილებლობაზე ისაუბრა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისგან ხიდის გახსნა მოითხოვა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

„ხიდი, უკვე მეოთხე წელია, რაც კონტრაბანდის აღკვეთის მოტივით ჩაიკეტა. იქ სასაზღვრო პოლიცია დგას და ხიდს აკონტროლებს. აზერბაიჯანში საავტომობილო მიმოსვლა აკრძალული გვაქვს, მხოლოდ ფეხით გადასვლის ნებას გვაძლევენ. იქით ნათესავები გვყავს, მათ ნახვას ვერ ვახერხებთ და ერთმანეთს ვკარგავთ. როცა ხიდზე ფეხით გადავდივართ, 7 კილომეტრის მანძილის გავლა გვიწევს, რადგან სანამ დასახლებულ პუნქტამდე არ მივალთ, ტრანსპორტი არ არის. აზერბაიჯანში საავტომობილო მიმოსვლა ახლა წნორი-ლაგოდეხის შემოვლითი გზით არის შესაძლებელი, ეს კი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ორივე მიმართულებით დამატებით 300 კილომეტრია გასავლელი, ხიდის გავლით კი საინგილო 50 კილომეტრშია. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ხიდზე ტრანსპორტით გადასვლის საშუალება მოგვცენ, არავითარი კონტრაბანდა ჩვენ არ შემოგვქონდა“, — განაცხადა აქციის მონაწილე სანდრო ხილაძემ.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე სამთაწყაროს ხიდი 2010 წლის შემოდგომაზე ჩაიკეტა. კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი აცხადებდა, რომ ხიდი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოთხოვნით ჩაიკეტა. „ხიდი ამორტიზებულ მდგომარეობაშია და ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს ვერ შევუქმნით“, - განაცხადა მაშინ სიბაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

მერსი ქორფსი კიდევ ერთი ინიციატივით გამოდის

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის“ და „სენის“ საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოეწყო ნახატების გამოფენა. გამოფენა ითვალისწინებდა ცნობიერების ამაღლებას და ახალგაზრდა თაობის აქტიურ ჩართულობას მსოფლიო კლიმატის ცვლილებების და ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილების საკითხში.-„ეს გახლავთ კლიმატის ცვლილებების კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ერთი რიგითი ღონისძიება, რომელიც მთელი საქართველოს ფარგლებში იმართება. აქციაში ბევრი ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას, მხოლოდ სხვადასხვაგვარად, დღეს ჩვენი ორგანიზაცია დედოფლისწყაროში ატარებს ახალგაზრდა შემოქმედების გამოფენას,აქ გამოფენილი ნამუშევრები თემატურად უკავშირდება დედამიწის გადარჩენას ბუნებრივი კატაკლიზმებისგან, ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო გამოფენაა, რადგან ბავშვების ფანტაზიას არ აქვს საზღვარი. ბევრი ისეთი საინტერესო ნახატია, რომ უფროსებისგან დიდხანს ჩაღრმავებასაც კი საჭიროებს. ჩემი აზრით დღევანდელი დღე შედგა. დღეს მოხდება ასევე ამ ბავშვების დაჯილდოვებაც. დედოფლისწყაროს შემდეგ ამ ღონისძიების მოწყობა დაგეგმილი გვაქვს სიღნაღში, ბოლნისში, მარნეულში, დმანისშიდა ნინოწმინდაში.“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროექტის ოფიცერმა ლიკა მარღანიამ.

პროექტის ფარგლებში გამოფენილი ნამუშევრები შესრულებული იყო რატევანის, პატარძეულის, დმანისის, კახეთის, ბოლნისის ახალგაზრდების მიერ. ჩვენი რაიონიდან ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ნინი და ნანი ათანელიშვილები.- „ჩემი ნამუშევარი შეეხება ბუნების წინაშე უფროსების მიერ ჩადენილ დანაშაულს, რომელსაც ახალგაზრდა თაობა ასწორებს და ცდილობს მსოფლიოს გადარჩენას,რაც ნახატში ასე გამოვხატე, მამა ჭრის ხეს და შვილს მიმართავს-„შვილო, მიშველე!“, შვილი კი, პირიქით, რგავს ახალ ნერგს და მამას მოუწოდებს-„მამა, მომეხმარეო!“ - აცხადებს ნინი ათანელიშვილი.

- „მე კი, დავხატე მუქი ღრუბელი, რომელიც დედამიწაზეა გადაფარებული და ამ ღრუბელს ორი ახალგაზრდა ხელებით აქეთ-იქიდან ეწევა, რათა დედამიწას მოაშოროს ის და გაათავისუფლოს ამ სიბინძურისგან,“-ამბობს ნანი ათანელიშვილი.

პროექტში მონაწილე ორივე ჩვენი მოსწავლე დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით. ღონისძიებას ესწრებოდა პროექტის დედოფლისწყაროს მენეჯერი კობა ალუღიშვილი, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან გამოფენას ანა ბენაშვილი სტუმრობდა. გამოფენა დაათვალიერეს აგრეთვე სამხატვრო სკოლის დირექტორმა აკაკი მერაბიშვილმა და მისმა მოსწავლეებმა.

ლალი მეხრიშვილი

ინტელექტუალთა ბრძოლა მეორე სკოლაში

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლამ ამ დღეებში კიდევ ერთ საინტერესო სასწავლო შემოქმედებით ღონისძიებას უმასპინძლა. სკოლის დირექტორის და სკოლის ორგანიზატორის ინიციატივით ამ სასწავლო დაწესებულებაში საფუძველი ჩაეყარა ინტელექტუალურ შოუს „რა, სად, როდის?!“, რომლის შემოდგომის სეზონის გახსნის მომსწრე გაზეთი „შირაქი“ გახდა. ამჯერად „რა, სად, როდის?!“ მეორე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის ინტელექტუალებმა გახსნეს. ჯგუფის კაპიტანი გახლდათ მარი ყოჩიაშვილი, ხოლო ინტელექტუალების ჯგუფის წევრებად ირაკლი მენთეშაშვილი, გიგა ქადაგიძე, მარი ლოლაშვილი, მარი ნიკვაშვილი და თამუნა წიკლაური წარმოგვიდნენ. ინტელექტუალების წინააღმდეგ პედაგოგებმა ნუნუკა ჯინაშვილმა, რუსუდან კორკოტაშვილმა, ნონა ტოკლიკიშვილმა, მარინა შანშიაშვილმა, რუსუდან ქადაგიშვილმა, გულნარა ღორაშვილმა, ნინო ლოლაშვილმა, ნათია პოპიაშვილმა, ეთერ ჯანიკაშვილმა ითამაშეს. „სუპერ ბლოგით“ მოსწავლეების წინაშე წარსდგა ეთერ ალადაშვილი, „შავი ყუთის“ კითხვის ავტორი თავად ამ ღონისძიების წამყვანი და ორგანიზატორი მაია კეტეციანი გახლდათ, ხოლო სტუმრის სტატუსით კითხვა მოსწავლეების წინაშე სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა დასვა.

თამაშის დაწყებამდე ინტელექტუალები გაამხნევა დები ლოლაშვილების მიერ გიტარის თანხლებით შესრულებულმა სიმღერამ. „რა, სად, როდის“ სრული ეტიკეტის დაცვით მიმდინარეობდა, ინტელექტუალების მაგიდა მოწყობილი იყო სწორედ ისე, როგორც გიორგი მოსიძის გადაცემაშია. კითხვაზე პასუხის გასაცემად ინტელექტუალებს დროის ერთწუთიანი მონაკვეთი ეძლეოდათ. დაისვა საკმაოდ საინტერესო კითხვები,რომელთაგან ყველაზე გამორჩეული გახლდათ რამდენიმე. ხელოვნების პედაგოგს ნინო ლოლაშვილს ინტელექტუალებისთვის დასმული ჰქონდა ასეთი კითხვა: გამოქვაბულის კედელზე ძველი მონადირეები გამოხატავდნენ სამ რაღაცას: ცხოველებს, ცეცხლს და...; კითხვა-რა იყო ის მესამე რასაც კიდევ გამოხატავდნენ ძველი მონადირენი კედელზე? - პასუხი გახლდათ ქალი, თუმცა ინტელექტუალებმა ამ კითხვის არასწორი ვერსია დაასახელეს და პედაგოგთან დამარცხდნენ. საკმაოდ საინტერესოდ გამოდგა გეოგრაფიის პედაგოგის ნუნუკა ჯინაშვილის თამაში მოსწავლეების წინააღმდეგ, მას მოზადებული ქონდა ამგვარი შინაარსის კითხვა- ცხოვრების პირველ ეტაპზე ემორჩილები მშობლებს, მეორე ეტაპზე ემორჩილები მასწავლებლებს და ლექტორებს, მესამე ეტაპზე სამსახურში უფროსებს, მეოთხე ეტაპზე ემორჩილები მეუღლეს. კითხვა- ვის ემორჩილები ცხოვრების ბოლო ეტაპზე? ინტელექტუალების პასუხი ამ კითხვაზე უფალი გახლდათ, თუმცა სწორი ვერსია ექიმი გახლდათ. ყველაზე საინტერესო კითხვად ინტელექტუალებმა სწორედ ნუნუკა ჯინაშვილის ეს კითხვა დაასახელეს. საკმაოდ მომხიბვლელი გახლდათ საყურებლად მეორე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის ინტელექტუალების ერთწუთიანი მსჯელობა-კამათი კითხვაზე პასუხის გასაცემად. სუპერ ბლიცი ითამაშა ინტელექტუალებიდან გუნდის წევრმა ირაკლი მენთეშაშვილმა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი სამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

საკმაოდ რთული აღმოჩნდა ინტელექტუალებისთვის მაყურებლის კითხვა, რომელიც სკოლის დირექტორმა წარმოუდგინა ბავშვებს. საბოლოო ჯამში ინტელექტუალებმა პადაგოგებს 6- 3 მოუგეს და გამარჯვების მილოცვები ღირსეულად მიიღეს.

დასასრულს გაზეთ „შირაქთან” ღონისძიების შესახებ ისაუბრა სკოლის ორგანიზატორმა მაია კეტეციანმა- „რა, სად, როდის არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1994 წლის დეკემბერში, ამ კლუბის პრეზიდენტი და დამფუძნებელი არის გიორგი მოსიძე. საქმიანობის მიზანია საქართველოს ახალგაზრდების ინტელექტუალური დონის და ერუდიციის ამაღლება, 1996 წლიდან კლუბი გაწევრიანდა „რა, სად, როდის?“ კლუბების საერთაშორისო ასოციაციაში. იგივე მიზანს ემსახურება სასკოლო კლუბების ჩამოყალიბება, ჩვენ სკოლის დირექციასთან ერთად მიზნად დავისახეთ, რომ ამგვარი ღონისძიებებით სწავლის მოტივაცია ავამაღლოთ მოსწავლეებში, რომ სწავლის რუტინული პროცესი გახდეს უფრო სახალისო, სკოლა მოსწავლისთვის გავხადოთ ბევრად უფრო სასურველ და სახალისო ადგილად, ვიდრე ეს აქამდე იყო, ეს ყველაფერი კი, სწავლასთან ისე იყოს შერწყმული, რომ მოსწავლისთვის გამარტივებული და ადვილად ასათვისებელი გავხადოთ.მოგეხსენებათ მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბება არ ხდება მხოლოდ ზოგადი განათლების მიღებით, მან უნდა შეძლოს გონების და ფიზიკური სხეულის წვრთნა. სწორედ ამიტომ მართებულად მივიჩნიეთ სხვა უამრავ ღონისძიებასთან ერთად სკოლაში შემოგვეღო თამაში „რა, სად, როდის“, რომლის შემოდგომის სეზონის გახსნაც დღევანდელ დღეს მოხდა.ბავშვებმა კარგად ითამაშეს, კმაყოფილი ვარ, მჯერა ისინი მომავალში უკეთესად გაართმევენ თავს, მადლობა პედაგოგებს კითხვების მომზადებაში აქტიურობისთვის. მომავალში ინტელექტუალური თამაში სხვა კლასის ინტელექტუალებშიც ჩატარდება.“ - აღნიშნა მაია კეტეციანმა.

ლალი მეხრიშვილი

რატომ გახშირდა დანაშაულებრივი ქმედებები?

ამ ბოლო დროს გახშირებულმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა საზოგადოება, ცოტა არ იყოს, შეაშინა. არავინ დაობს, რომ წინა ხელისუფლების ერთ-ერთი მიღწევა ქვეყნის მასშტაბით კრიმინალური დანაშაულის შემცირება იყო. სხვა საკითხია, ეს რის ფასად და რის ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის პირადი უსაფრთხოება გარკვეულ დონეზე (თუ ხელისუფლების წევრებთან და მომხრეებთან ინტერესთა გადაკვეთა არ მოხდებოდა) დაცული იყო... მას შემდეგ, რაც არჩევნების გზით ხელისუფლება შეიცვალა, სანამ ახალი მთავრობა დამტკიცდებოდა და მართვის სადავეებს ხელში აიღებდა, კრიმინალურმა დანაშაულებმა იჩინა თავი. არადა, საზოგადოების ნაწილს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ადამიანების მენტალობა შეიცვალა და კრიმინალის ჩამდენთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ გარდამავალმა პროცესმა დაგვანახა, რომ ასე არ ყოფილა. ეს ეხება როგორც თბილისს, ისე მთელ საქართველოს...

არადა, იმ რამდენიმე დღის განმავლობაში "მოშვებული" პატრულის თანამშრომლები თითქოს ჩვეულებრივ რეჟიმში ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ მაინც დღე არ გავა ინტერნეტ საიტების, ფორუმებისა და სოციალური ქსელების მომხმარებლებმა წვრილმანი თუ მძიმე კანონდარღვევების შესახებ არ გაავრცელონ ინფორმაცია. ეს ეხება მანქანისა და ბინის ძარცვას, ყაჩაღობასა თუ ქურდობას.

არადა, შსს-ს ახალმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა და თანამშრომლებს მოუწოდა, ჩვეულ რეჟიმში ემუშავათ.

ჭორის დონეზე გავრცელდა, თუმცა არც ერთი წყაროთი არ დადასტურებულა ინფორმაცია მათი შემცირების შესახებ, მაგრამ გახშირებული დანაშაულის შესახებ მაინც გვესმის.

შს სამინისტროს განცხადებით, "არსებული ინფორმაციით, დანაშაულებრივი ფაქტების ზრდის შეგრძნება გამოწვეულია იმით, რომ აქამდე არ ხდებოდა მათი მედიასაშუალებებით გახმაურება და შესაბამისად, რეალურ მდგომარეობაზე საზოგადოების ინფორმირება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობა არ დამძიმებულა. პირიქით, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნულია ახალი კადრები და ვითარება ყოველდღიურად სტაბილურდება".

ამავე უწყებამ მოგვაწოდა სტატისტიკა, რომლის შინაარსიც ასეთია:

"როგორც თქვენთვის ცნობილია, ოქტომბრის თვეში ხელისუფლების გადაბარების პროცესი მიმდინარეობდა. იმ სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა, ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით წვრილმანი ხულიგნობის ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირებულია. კონკრეტულად, 2012 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული იყო წვრილმანი ხულიგნობის 273 ფაქტი, ხოლო ოქტომბერში - 180. აღსანიშნავია, რომ იმავე თვეებში 2011 წელს წვრილმანი ხულიგნობის ფაქტები მომატებული იყო, კერძოდ 2011 წლის სექტემბერში - 348, ხოლო ოქტომბერში - 316.

რაც შეეხება შედარებით მძიმე დანაშაულებს, გასული წლის ოქტომბრის თვესთან შედარებით წელს ოქტომბერში მათი რაოდენობაც შემცირებულია, კერძოდ, შარშან 35 ფაქტი მოხდა ,ხოლო წელს - 23".

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„გაიტანეთ გრენლანდია!"

ნოემბერი განახევრდა, შემოდგომა მიილია, მართალია საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის ვადები ამოიწურა, მაგრამ როგორც კი ამინდი გამოიდარებს ხოლმე, მინდვრებში კვლავ ისმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხმა-დაგვიანებული მინის მეპატრონეები ეშურებიან და ისევ ითესება ხორბალი და საშემოდგომო ქერი. ეს ძირითადად ის ხალხია, ვისაც საკუთარი თესლი არ ჰქონდა და არც მაინცდამაინც ეკონომიურად იყო გალაღებული, ნებისმიერ ფასად შეესყიდა თესლი და გასნვდომოდა საწვავის ფასს, რომელიც დღესდღეობით ისევ ყელში უჭერს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ძირითადი ნაწილი საშემოდგომო კულტურებისა დათესილია. წელს გასულ წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებელია. ზოგიერთმა თადარიგიანმა და შეძლების მქონე მინის მფლობელმა საგაზაფხულო კულტურებისათვისაც მზრალად უკვე მოხნა. ძირითადი ნაწილი, ვინც საგაზაფხულო კულტურების დათესვა გადაწყვიტა, მოლოდინის რეჟიმშია და ფიქრობს, იქნებ ახალმა მთავრობამ დაპირება შეასრულოს - საწვავი ცოტა მაინც გააიაფოს, თესლი (არაგენმოდიფიცირებული) შემოგვაშველოს, სუბსიდია გამოყოს, გლეხი ამოასუნთქოს და გაჩნდეს შესაძლებლობა, იმ კატეგორიის ადამიანებმაც შეძლონ დათესვა, ვინც წლობით უსახსრობის გამო ვერ მოხნა და დათესა, ვისი ნაკვეთიც აბალახდა და გაველურდა. არადა, დაპირება ერთმილიარდიანი სასოფლო-სამეურნეო ფონდის თაობაზე მეტად მიმზიდველი და იმედის მომცემია. თუ ჩვენ ევროპისკენ ვიყურებით, არა მხოლოდ პოლიტიკური ვექტორი უნდა მივმართოთ იქით, არამედ სოციალურ-ეკონომიკურიც. ალბათ, არ არის არც ერთი ქვეყანა ევროპაში, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეებს სუბსიდიები არ ეძლეოდეს. სულ რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით მოვისმინე ინფორმაცია, როგორი საპროტესტო აქციები მოეწყო ბალტიისპირეთში, სადაც სოფლის მეურნეობის მუშაკთა სუბსიდიების არასაკმარისობაზე გამოთქვამდნენ პროტესტს და მაგალითად მოჰყავდათ დანია და ჰოლანდია, სადაც ამ კუთხით მთავრობა უფრო მეტ თანხებს ხარჯავს. ჩვენ კი, ჩვენ საცოდავები, ჯერ მხოლოდ ოცნებებსა და ნატვრაში ვართ, ვერც კი ვაცნობიერებთ და ვიჯერებთ, რომ ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაშიც მოხდება და იმ ფონზე, როცა მინის გადასახადი, უფრო ზუსტად მინაზე ქონების გადასახადი ყველასათვის ერთიდაიგივეა - 87 ლარი, არა აქვს მნიშველობა, როგორია შენი მინა ნაყოფიერი, ნაკლებადნაყოფიერი თუ მწირი, რა შემოსავალს ღებულობ იქიდან, გქონდა ნათესი საერთოდ თუ არა, სტიქიური მოვლენებით დაგიზიანდა თუ არა, არაფერი არ სჭრის, გაქვს მინის ნაკვეთი? გათავდა, გადასახადი უნდა გადაიხადო! ეს გადასახადი კი წელში სწყვეტს გლეხს, რომელსაც ხშირად თავისი სარჩოც კი ვერ მოჰყავს. ამიტომ მინის საკადასტრო ანუ ნაყოფიერებისა და შემადგენლობის შემსწავლელ ერთ ლაბორატორიას, რომელიც იმ შავბნელ კომუნისტების დროს გამართულად მუშაობდა, დღედაღამ ნატრულობს ხალხი, რათა გაიგოს, როგორია მისი მინა, რა უჭირს და რა ულხინს, რომელი სასუქებით თუ მინერალით გაამდიდროს იგი, რით „უმკურნალოს" თუმცა, არც ეს „მკურნალობა" ასე ხელწამოსაკრავი საქმე და იქნებ მთავრობამ სასუქის ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობასაც მიხედოსო, -ფიქრობს ხალხი. არ ვიცით, რა იქნება მომავალში, მაგრამ ოცნების უფლება ხომ აქვს ადამიანს, ჰოდა, ჩვენც ვოცნებობთ. ოცნება, იოცახლეთ, კარგია, გულს ახალისებს, მაგრამ რა ვუყოთ რეალობას, რომელიც უკვე წლებია, აწუხებს მინის მეპატრონეებს!? ძველებს კარგად გვახსოვს და ახლებსაც გაეგონებათ ალბათ, რომ შირაქში, ჩვენს „პურის ბელელად" შერაცხულ მიწაზე მხოლოდ სახნავ-სათესი ფართობებია განთავსებული. აქ არ არის საძოვრის არც ერთი გოჯი. მაშ რას აძოვებენ საქონელს ის ფერმერები, რომლებიც კოლმეურნეობების დროინდელ სატრაქტორო თუ მემინდვრეობის ბრიგადების სახლებში ჩასახლდნენ. მოძმე აზერბაიჯანელები დაირქვეს, ცხვარ-ძროხა მოამრავლეს და იმის გამო, რომ ზამთარში არანაირი გასათბობი საშუალებით არ მოამარაგეს, ქარსაფარი ზოლები გააჩეხინეს და გაანადგურებინეს. „თათრებმა გაჩეხესო", პირზე აკერია დღეს ყველას, თათრებმა კი არ გაჩეხეს, ჩვენ გავჩეხეთ, რომ დედაწულიანად ჩასახლებულებს გათბობის არანაირი საშუალება არ შევუქმენით. სიცივე და შიმშილი ძნელი რამეა და მათაც ხელი მიჰყვეს ქარსაფარ ზოლებს, რომლის გაშენებაზე უამრავი შრომა და ფინანსები დაიხარჯა თავის დროზე. დამქირავებლის და დაქირავებულის ვლდებულებებს და პირობას არავინ დაგიდევს. ისინიც მოვიდნენ, თანდათან დაფუძნდნენ, გამრავლდნენ და.. დღეს მათი ცხვარ-ძროხა უფრო მეტი დადის შირაქში, სადაც საძოვარი საერთოდ არ არსებობს, ვიდრე ჩვენი. ისინი აღარაფერს და არავის აღარ ეპუებიან, დაჰყავთ საქონელი ნახნავში, ნათესებში, ქარსაფარში თავისით ამოყრილ ნორჩ ყლორტებს ანადგურებენ და სრული განუკითხაობა სუფევს. აი, მერამდენედ ვწერ და ხმამაღლა ვამბობ: **„გაიყვანეთ საქონელი შირაქიდან!"** და მახსენდება კინოფილმიდან „ცისფერი მთები"- **„გაიტანეთ გრენლანდია!"** ჰოდა, ვიდრე თავზე არ დაგვემხობა ჩვენც ყველაფერი, გონზე ვერ მოვალთ. ერთ-ერთი ასეთი განცხადების შემდეგ ასეთი დირექტივა შემოგვთავაზეს: - მინები შირაქში კერძო საკუთრებას წარმოადგენს, კეთილი ინებონ კერძო მფლობელებმა, მევეღლეები დაიქირაონ და თავისი მინები დაიცვანო. კი ბატონო, მაგრამ არის ამის შესაძლებლობა? სად წავიდნენ ღამე მევეღლეები, ყოველ დილაუთენია შირაქის გზაზე იყვნენ გაკრულები თუ ყველამ თავის 5 და 10 ჰექტარში საცხოვრებლები აუშენონ მათ. ეს ხომ აბსურდია. თანაც, ერთი ნაკვეთიდან თუ გაჰყრიან, მეორე ნაკვეთში შეიყვანენ, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს. შირაქში საძოვარი არ არის. ჩემი აზრით შირაქიდან საქონლის გაყვანას სჭირდება ხელმძღვანელობის ნება და სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება; **სადაც არ არის საძოვარი, იქ არ უნდა იყოს საქონელი!** ეს ყველაფერი ამ ბოლო დროს მეტად მწვავე დაპირიპირებებს იწვევს მწყემსებსა და მინის მეპატრონეებს შორის, ხშირია გაწევგამოწევა, ჩხუბი, არასასურველი ინციდენტები ორი ერის წარმომადგენლებს შორის, რასაც შემდეგ პოლიტიკური სარჩულიც შეიძლება გამოუძებნოს ვინმემ. ღირს ამაზე დაფიქრება. რაც შეეხება ქარსაფარ ზოლებს, მათი აღდგენა-განახლება და გაშენება აუცილებელი პირობაა შირაქში მოსავლიანობის ასამაღლებლად. ქარები ყველა დროში ქროდნენ, მაგრამ ქარსაფარები იცავდნენ ნათესებსა და ახლა რომ ძირფესვიანად თხრის საშემოდგომო ნათესებს და ანადგურებს, ასე არ იყო. ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობა რომ იცის ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობამ, იმიტომაც შეუწყო ხელი გერმანულ პროექტს, რომელიც ქარსაფარებისა და კორომების გაშენებას ისახავდა მიზნად. თუმცა, შედეგით მაინცდამაინც ვერ ვიამაყებთ, ბევრგან არ გაამართლა და ცარიელი პლასტმასის მილები შეგვრჩა ხელში. ვერ მოვუარეთ თუ არ ივარგა იმ ჯიშებმა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ალტერნატიული გზა გამოვნახოთ. ჰოდა, როცა ამ საკითხზე ვფიქრობ, ჩემი მოსწავლეობის ხანა მასხენდება. ყოველ შემოდგომაზე მივყავდით ბავშვები გედიქზე აკაციის ხეივანში, სადაც აკაციის თესლს გვაგროვებინებდნენ. მერე ამ თესლს სატყეო მეურნეობის სანერგეში თესავდნენ. ორ-სამ წელიწადში მათი სიმაღლე მეტრს, მეტრანახევარს აღწევდა და გადაჰქონდათ ქარსაფარში. დილეტანტის დონეზე ვფიქრობ, იქნებ არ იყოს ცუდი, პირდაპირ ქარსაფარში დავთესოთ აკაცია, ხომ გაგიგონიათ, „დედოფლისწყაროში მოსული კაცი და აკაცია ხარობსო", იქნებ ამან გაამართლოს, ცდა ბედის მონახევრეა.

ნინო გორგაშვილი

P.S. ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში მინის მესაკუთრე ჯემალ კვანჭილაშვილი გვეწვია, ძალიან აშფოთებული იყო:გადაგვიარეს თავზე ამ მწყემსებმა მემინდვრეებს, სულ აღარ გვეპუებიან, მიასწრებ, რომ შენს ნაკვეთში ჰყავს შეყვანილი საქონელი და კიდევ აქეთ გეპასუხება, მოხნულია, დათესილი ხომ არ არის, რა გაყვირებსო. შენიშვნაც აღარ უნდა რომ მისცე, ძეკავენ ნახნავსაც და ნათესსაც, სულ მოუხნავი და დაუთესავიც რომ იყოს, რა უფლება აქვთ, ის ხომ მათი საკუთრება და საძოვარი არ არის. აბა, ვინმემ მათ საქონელს ხელი ახლოს, ქვეყანას შეჰყრიან. კონფლიქტები და დაძაბულობა ამ საკითხზე ხშირია, ამიტომ შირაქიდან საქონელი უნდა გავიდეს. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ამ საკითხს მინის ყველა მესაკუთრე აყენებს-აცხადებს ჯემალ კვანჭილაშვილი.

„ჩვენ სიტყვები ტყვიებად ვაქციეთ"...

სადღეისო მოვლენებთან დაკავშირებით ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა მწერალთა გაფართოებული კრება. მწერლებმა ბევრ საჭირბოროტო საკითზე ისაუბრეს., კრების შემდეგ შევხვდი ჩვენს თანამემამულეს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს **მაყვალა გონაშვილს** ***და ვთხოვე ინტერვიუ.***

— ქალბატონო მაყვალა, დღეს რატომღაც აქტიური გახდა მწერალთა კავშირზე საუბარი, ზოგი სახელის შევცლას მოითხოვს, ზოგი რეორგანიზაციას, ზოგი კი მის დაშლას. თქვენ როგორ გესახებათ მწერალთა კავშირის მომავალი?

- თუ გავიხსენებთ უკვდავ ფორმულას: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა," უპრიანი იქნება, მწერალთა კავშირთან დაკავშირებით წარსულზე ვისაუბროთ. მწერალთა ერთობის, კავშირის იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა. 1908 წელს , თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატობის საკრებულოში გამართულმა მწერალთა საერთო კრებამ „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება" შექმნა.

1916 წელს კავკასიის სამეფონაცვლის ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის კრებაზე ექვთიმე თაყაიშვილმა ბრძანა: „დადგა კავშირთა ხანა.. რაც უნდა ნიჭიერი იყოს თითოეული ადამიანი, ის შეუკავშირებლად სხვის, დაუხმარებლად ფონს ვერ გავა".

დიახ, კავშირი, ერთობა, ერის ტკივილსა თუ წუხილზე ფიქრი, სჯა-ბაასი, უკვდავი ქართული მწერლობის ტრადიციათა გაგრძელება და აღორძინება, აი, ის უმთავრესი სანუხარი, რის გამოც მწერალთა კავშირის შექმნის იდეა დაიბადა.

ახლა ის ადამიანებიც გავიხსენოთ, ვინც იყვნენ ამ კავშირის დამფუძნებლები: კოტე მაყაშვილი, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია,შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი და სხვაები, ხოლო დამფიძნებელი ყრილობის საპატიო თავჯდომარედ მიიწვიეს ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ნიკოლაძე.. რომელი ერთი ჩამოვთვალო.



ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი ორგანიზაცია პირველი იყო ევროპაში.

ნუ დავაკნინებთ ერთობის მცნებას. მთელი საქართველოს მწერალთა ერთობას კავშირი უნდა ერქვას.

„ერის სული მწერლობაში ლაპარაკობსო", ბრძანებდა ტიციან ტაბიძე.

ვისაც საქართველოს მოკვლა სურს, მწერლობა უნდა მოკლას უპირველესად. – რეორგანიზაციაო, ამაზეც ბევრს საუბრობენ, მე რეორგანიზაციის მომხრე ვარ და არა ნგრევისა.

თუ კაცს საკუთარი ვარცხნილობა არ მოსწონს, ამისთვის სულაც არ არის საჭირო, თავი მოიჭრას (ეს ისე ხუმრობით).

მწერალთა კავშირის გასაახლებლად, გარდასაქმნელად, უამრავი რამ არის შესაცვლელი და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ვიტყვი ერთს, ამაზე კავშირის თითოეულმა წევრმა უნდა იფიქროს და იზრუნოს. მე, როგორც მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, მიმაჩნია, რომ ფართოდ უნდა გაიღოს მწერალთა სახლის სარკმელი, განიდევნოს უნდობლობის ბაცილა და სიყვარულმა დაივანოს, მთავარია სურვილი ქართული მწერლობის აღორძინებისა. მთავარია პატივისცემა წარსულისა, მთავარია ახალგაზრდობისათვის კარის გაღებაა. ხელშეწყობა და გზის მიცემაა. მთავარია, მწერალთა სხვადასხვა ჯგუფებს, კლუბებსა და ასოციაციებს შორის უნდობლობისა და ურთიერთ დაპირისპირების ნაცვალდ სიყვარულის ხიდის გადება, ანუ მთავარი საქმეა.. ფორმას თვით საქმე შემოგთავაზებთ.

- „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერისა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა'. მწერალი ერის წინამძღოლად მოიაზრებოდა. რატომ დასცილდა ერთმანეთს მწერლობა და საზოგადოება?

- საქართველოში ბოლო 20 წელი აჩქარებულ კინოკადრს ჰგავდა. ნაცვლად იმისა, რომ ყველას ერთად დამოუკიდებელი ქვეყანა გვეშენებინა, რაც წარსულიდან გადმოგვყვა, ლამის ისიც თავზე ჩამოვიქციეთ. ადრე ამბობდნენ, ქვეყანა ჩალით არის დახურულიო. მერე ეს ჩალაც სანატრელი გაგვიხდა. ვცოხვრობდით გაყინულ სახლებში და სული და სხეული გვეყინებოდა. ჯერ ვჭრიდით , მერე ვზომავდით, შოკური თერაპიიდან მხოლოდ შოკი შეგვრჩა თერაპიის გარეშე. პრივატიზაციაო. ვისაც ძალა ჰქონდა, ყოველივე მიისაკუთრა. ძმათამკვლელმა ომებმა, შაგრენის ტყავივით დაპატარავებულმა საქართველომ, სიღატაკემ დაღალა ერი, უიმედობის ბაცილამ სული მოუწამლა.

- საქართველო გაშლილ სუფრას დაემსგავსა, სადაც ყველა თამადობას ჩემობს. მრავალპარტიებად აკინძულმა ქვეყანამ, ინტელექტუალური ძალებიც გადაინაწილა. ადრე თუ „მეფეს" თავისი კარის მგოსნები ჰყავდა, ახლა პარტიათა ლიდერებს ჰყავთ საკუთარი მწერლური ამქარი, ისინი უმთავრესი იდეის —საქართველოს მომავლისთვის მოღვაწეობის ნაცვლად, ხშირად კონკრეტული პარტიების ინტერესს იცავენ.

- და როდის დამთავრდება ეს ყოველივე?

როცა გამთლიანებული საქართველო გვექნება. რაც თავი მახსოვს, ქართულ ჰიმნად ეს სიტყვები მოიაზრებოდა:

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენიაf"

ჰოდა, ბოლოს და ბოლოს ხომ ჩვენთანაც უნდა იქცეს ბედნიერება აწმყოდ და არა მარტო მომავლად!

- რა ენა წახდეს, ერი დაეცესო"—ამბობდა ილია ჭავჭავაძე. დღეს არავინ უფრთხილდება ენის სიწმინდეს, დამახინჯებული გამოთქვამები ისმის სხვადასხვა სატელევიზიო არხებიდან, ბოლო დროს გადაღებული ქართული ფილმებიდან, როგორ გადავარჩინოთ იგი?

- როცა დიდი მწერლების შემოქმედებას ვკითხულობ, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მათ „სიტყვების ნაკრძალი" შექმნეს, უმშვენიერესი ქართული სიტყვებისა, რომლებიც განიდევნა ყოველდღიური ყოფიდან, ტელეეკრანიდან, პარლამენტის სხდომებიდან. მათ ნაცვლად დამახინჯებული, გაღატაკებული ან უცხოური სიტყვები დამკვიდრდა. როგორ უნდა ნავიკითხოთ გალაკტიონის ეს სიტყვები დღეს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა?"—მოგახსენებთ: —ჩვენი პრიორიტეტი, დიახაც რომ პოეზიაა!

„პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი", ჩვენ კი სიტყვები ტყვიებად ვაქციეთ და დაუნდობლად ვესვრით ერთმანეთს..."

ვინ დაუბრუნებს სიტყვებს ღვთიურ ძალას და პირვანდელ მშვენიერებას?—რა თქმა უნდა, მწერალი!

ნანა ჟიჟინაძე

სოფელ სამრეკლოში ქართული ენის კაბინეტი გაიხსნა

ლამაზი ღონისძიებით გაიხსნა ქართული ენის კაბინეტი სოფელ სამრეკლოს (ყოფილი ჯაფარიძის) საჯარო სკოლაში, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა და უფროსკლასელებმა მეკვლედ საინტერესო სტუმრები მოიწვიეს. მათ უმასპინძლეს სამრეკლოს მკვიდრ პოეტებს: **ზაურ გონაშვილს, თამაზ წიკლაურს, ლევან ალავერდაშვილს, ნატო ყატაშვილს** და **ვაჟიკო ყოჩიაშვილს.** ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრები ეკა ჯავახიშვილი და თამარ ფოლადაშვილი.

საღამო მიჰყავდა, სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის XII-ე კლასის მოსწავლეებს რუსუდან ყოჩიაშვილს და ლიკა ქავთარაძეს. მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა ღონისძიების ორგანიზატორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ლუიზა ლეკაშვილმა.

„სასკოლო მარგალიტები" გაიხსენა პოეტ თამაზ წიკლაურის თანაკლასელმა მარინა ყოჩიაშვილმა, რამაც უფრო ხალისიანი მუხტი შემატა საღამოს. ჩვენი თანარაიონელი პოეტების ლექსებს შთამბეჭდავად კითხულობდნენ მოსწავლეები: მარიკა გასანოვი, მაკა ჩუბინიძე, მარიამ წიკლაური, ელენე სულაშვილი, მარი ტუხაშვილი, ნიკა კვანჭილაშვილი და სოსო ყოჩიაშვილი. მუსიკის ფონზე დიდხანს ისმოდა ზაურ გონაშვილის, გიული სამუკაშვილის, ზიზო ბურდულის, ეკა ჯავახიშვილის და სხვათა ლექსები. დამსწრენი შორიდან მიესიყვარულნენ სამრეკოს მკვიდრ ახალგაზრდა პოეტებს ქეთევან ნათელაძეს და უჩა წყარუაშვილს, რომლებიც ამჟამად სტუდენტები არიან და დედაქალაქში ცხოვრობენ.

ისე ვულკანივით ამოხეთქა ლექსმა ამ საღამოს, რომ რამოდენიმე მოსწავლემ თავიანთი საიდუმლოც კი გათქვა.თურმე ნუ იტყვი და ლექსის წერა სხვებსაც უცდიათ. საკუთარი ლექსები სამზეოზე გამოიტანეს მოსწავლეებმა: ნინო ხატიაშვილმა, ია ბუჩუკურმა, რუსუდან ყოჩიაშვილმა და დათო ლეკაშვილმა.

ამ ლამაზ საღამოს დიდხანს გუგუნებდა ომახიანი ქართული ლექსის ექო.

იმედია, კიდევ ბევრი ლამაზი ლიტერატურული ღონისძიების მასპინძელი იქნება ეს კაბინეტი.

ნატო ყატაშვილი

ბავშვი, რომელსაც მათემატიკა ძალიან უყვარს

ეს მშვენიერი ყმაწვილი, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის IIIბ კლასის მოსწავლეა, პაპის მოსახელე ილია შეითნიშვილი გახლავთ. მას 9 წელი სულ ახლახანს - 6 ნოემბერს შეუსრულდა. გამორჩეული ზარ-ზეიმით აღნიშნეს ეს დღე მისმა თანაკლასელებმა, იყო ტორტის გაჭრა და სანთლების ჩაქრობა, „დღეს ილიკოს დღეობაა"-ს დაგუგუნება და მრავალი სამახსოვრო სურათის გადაღება. გამორჩეული ზეიმის მიზეზი მარტო დაბადების დღე როდის იყო. არა, ილიკოც და მისი საყვარელი მასწავლებელი ნელი შოშიაშვილიც დამსახურებული ჯილდოს მიღებასაც აღნიშნავდნენ: ნელი მასწავლებელი - ღირსების ორდენს, ხოლო ილიკო მათემატიკურ ოლიმპიადაში მოპოვებულ დიპლომს. ეს ოლიმპიადა გასული სასწავლო წლის ბოლოს ბიზნეს ჯგუფმა „BG Generaziotion 2012"-მა განათლების სამინისტროს ლიცენზიით ჩაატარა იმ მიზნით, რომ საჯარო სკოლებში მათემატიკური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები გამოევლინა და წაეხალისებინა. ოლიმპიადა 3 ეტაპად ჩატარდა: რაიონული, რეგიონული და რესპუბლიკური. მასში მონაწილეობა, სხვა მრავალ ბავშვთან ერთად, ილია შეითნიშვილმაც მიიღო და ყველა ტური წარმატებით გადალახა.

რესპუბლიკურ ტურზე რაიონს სამი გამარჯვებული ჰყავდა. თითო ჯაფარიძის და ზემო ქედის საჯარო სკოლებიდან, რომლებიც უფროსკლასელები არიან, დაწყებითებიდან კი მხოლოდ ილიამ ისახელა თავი - მან მესამე ხარისხის დიპლომი და ამერიკული სასწავლო ცენტრის 15%-იანი ფასდაკლების ბარათი დაიმსახურა. ამ ბარათით მას ეძლევა საშუალება, შეღავათიან ფასებში დაეუფლოს ინგლისურ ენას. აი, ეს იზეიმეს მისმა მეგობრებმა ილიასთან ერთად.

- ილია ნიჭიერი, მონდომებული და გონებაგახსნილი ბავშვია. ცოტა ცელქი და მოძრავია. მაგრამ, მხოლოდ დასვენებაზე. გაკვეთილზე მთელი ყურადღებით მასწავლებლისკენაა. გამორჩეულად მიდრეკილია მათემატიკისკენ," - ახასიათებს მას ნელი მასწავლებელი.

- მე ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ჩემი კლასი და ჩემი ნელი მასწავლებელი, რომელიც ჩემი მამიკოს - გოჩა შეითნიშვილის პირველი მასწავლებელიც იყო. მამიკო ამბობს, ნელი მასწავლებელზე ლამაზი და მაგარი მასწავლებელი დედამიწაზე არ არისო და მეც ვეთანხმები, ამიტომაც დაავჯილდოვეს. პირველ და მეორე კლასებში ის მასწავლიდა ყველა საგანს და მათ შორის მათემატიკასაც და შემაყვარა კიდეც. ახლა მესამე კლასიდან ჩემი მათემატიკის მასწავლებელი ნანა პოპიაშვილია, ისიც ძალიან მომწონს-ო გვეუბნება ილია.

როცა ვკითხე, კიდევ ვის იცნობ, ილია რომ ჰქვია და „მაგარია" მეთქი, უმალ მიპასუხა, „პაპაჩემიო", ჩემს ღიმილზე კი მიხვდა, რომ სხვა პასუხს ველოდი და ჩაფიქრდა. თვალები დახუჭა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გაბრწყინებულმა მიპასუხა: ილია ჭავჭავაძე და ილია მეორეო.

უფალმა ინებოს, პატარა ილია, შენი წარმატებული ცხოვრება. ეს პირველი სიხარული - პირველი ჯილდო ყოფილიყოს შენთვის დიდი სტიმული. მრავალჯერ განგეცადოს გამარჯვებით გამონვეული სიხარული.

ნაირა გორაშვილი

ტრაგედია ოზაანის ტბაზე

ტრაგედია დატრიალდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში. ოთხდღიანი ძებნის შემდეგ ოზაანის ტბაში ჩავარდნილი თეთრი ფერის ოპელის მარკის ავტომანქანა იპოვეს, სადაც 40 წლამდე ასაკის ქალისა და მამაკაცის გვამები აღმოაჩინეს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ორივე გარდაცვლილი 31 წლის რამაზ ოზაშვილი და 40 წლის ნინო ალუღიშვილი დედოფლისწყაროს მკვიდრია. გვამებს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა.

„ეს ტბა 9 მეტრი სიღრმისაა და ავტომანქანა ისე იყო ჩაძირული, ვერაფერს შეამჩნევდით. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, იქ რომ მივედი ადგილზე უკვე პოლიციელები მუშაობდნენ. პირადად შევესწარი, რომ მანქანიდან ორი გვამი ამოიტანეს,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ სოფელ ოზაანის რწმუნებულმა სოსო თევზაძემ.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. ერთ-ერთი ვერსიით, ავტომანქანა ტბაში შემთხვევით ჩავარდა. ადგილობრივი პოლიცია სამძებრო სამუშაოებს გარდაცვლილის ოჯახის წევრების მიმართვის საფუძველზე აწარმოებდა.

სოფელ ოზაანის მოსახლეობა აცხადებს, ახალგაზრდები ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, რა დროსაც მანქანა მოუცურდათ და ტბაში ჩავარდნენ. მათ მანქანიდან გადმოსვლა ვერ მოახერხეს და ორივე მათგანი დაიხრჩო.

ერთ-ერთი ვერსიით, ავტომანქანის მძღოლი სოფელ ოზაანში მცხოვრებ ნათესავებთან სტუმრად იმყოფებოდა, იქიდან წამოსვლის შემდეგ კი ტბის ტერიტორიაზე მივიდნენ.

„არაფერი ჩანდა, რომ იქ მანქანა იქნებოდა ჩავარდნილი. რამდენიმე დღის მერე ტბის ფსკერზე ავტომანქანის მოტორიდან ზეთმა გამოჟონა და ასე მიაგნეს... ამბობენ, მანქანა დაუგორდათო“... - აცხადებს ოზაანის მკვიდრი ბესიკ საგერიშვილი.

ნინო ალუღიშვილს მცირეწლოვანი გოგონა დარჩა.

ილია მარტყოფლიშვილი

მონატრება

შუქური გოგაშვილი



სამი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო ძმაო, შუქო. ძალიან მტკივნეულია მესამე დაბადების დღე უშენოდ. შენ ხომ ბრწყინვალე გიორგობის დღესასწაულის მეორე დღეს - 24 ნოემბერს დაიბადე, ჩვენო ლამაზო, ჭკუიანო ძმაო. შენ მოგტირის მთელი ოჯახი, სანათესაო, მთელი სოფელი. მართლაც დააკლდი კაცი სოფელს, ქვეყანას და თითოეულ ჩვენგანს. ამბობენ, დრო მკურნალიაო, არა, ეს ასე არ არის, რაც დრო გადის, უფრო ძალიან მწარეა უშენობა. უბრალოდ, ესაა, რომ ცხოვრება გრძელდება.შენ იყავი ჩვენთვის ყველაფერი—ძმაც, დამრიგებელიც და პატრონიც.შენი იუმორის გრძნობა და ლამაზი სადღეგრძელოები, კარგი ქეიფი გვილამაზებდა ცხოვრებას. რა დიდი ტკივილია უშენოდ შენი დაბადების დღის აღნიშვნა. 24 ნოემბერს მთელი ოჯახით მოვალთ შენს საფლავზე, შენი თვალხატული შვილიშვილები ნიკა და გიორგი ყვავილებით გაგილამაზებენ საფლავს, შენ ხომ მაგათზე ზრუნვაში დალიე სული.რა მძიმეა ეს ყველაფერი, ძმაო! ყოველთვის გვემახსოვრები, ვილოცებთ შენთვის, რომ ნათელში იყოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შენი სათაყვანო სოფლის — არბოშიკის მიწა. როგორ გეამაყებოდა ამ სოფლის შვილობა. გეფერებით მთელი შენი ოჯახი.

დეხი მანანა და მერი გოგაშვილები ოჯახებით.

დავით ოზგეთელაშვილი

2006 წლის 13 ნოემბერი ჩვენი ოჯახისთვის მტკივნეული თვე და რიცხვია. 13 ნოემბერს ექვსი წელი შესრულდა, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში გადასახლდი, 64 წელი იცოცხლე მხოლოდ. ეს დრო, არც ძალიან ცოტაა და არც ძალიან ბევრი. ამ ხნის მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდი ოჯახს და ყველანაირად ვალმოხდილი წახვედი ჩვენგან. იყავი სიკეთითა და სიყვარულით სავსე, ალალი და უბოროტო, ამხანაგების და მეგობრების მოყვარული. სხვისი წუხილი განუხებდა და სხვისი სიხარულით თვითონაც ხარობდი. გული მწყდება, რომ ვერ მოესწარი შენი შვილიშვილების გაზრდას და ვერ გაიცანი მეხუთე შვილიშვილი ნიკა, რომელიც შენი გარდაცვალების შემდეგ დაიბადა.

ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვიყვარხარ! მეტი რა დაგვრჩენია იმის გარდა, რომ მოვიდეთ შენს საფლავთან და აგინთოთ წმინდა სანთლები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

ქეთევან ოზგეთელაშვილი

ირმა ბენაშვილი

18 ნოემბერს მესამედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ეს ის დღეა, როცა გული ტკივილისგან გასკდომას ლამობს, მაგრამ ამ საშინელ და ჩვენთვის ისევ დაუჯერებელ რეალობას ვერსად გაექცევით და გვინდა თუ არ გვინდა, ცხოვრების ბოლომდე ყველამ ამ ტკივილით უნდა ვიაროთ.

ვაი, რომ ცრემლების, სანთლებისა და ყვავილების გარდა სხვა არაფერი გვაქვს შენთვის საჩუქარი, არადა, ჩვენ ხომ სხვანაირად გვიყვარდა ერთმანეთის გახარება. ირმა, შენ ისეთი სითბო დაგვიტოვე თითოეულ ჩვენთაგანს, რომ დიდხანს, მთელი ცხოვრება გაგვყვება თან.

ილოცე, მეგობარო, აქ დარჩენილი შენი ახლობლებისთვის და ნაცნობებისთვის, ვისაც ახსოვხარ და უყვარხარ. ჩვენ კი მოვალთ შენს საფლავთან და მოგილოცავთ დაბადების დღეს. დაგინთებთ წმინდა სანთლებს. დაე, ამ სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

შენი მეგობრები

რას გვეტყვი მამაო?

ამბობენ, რომ ცოდვა შთამომავალზე გადადის, რამდენად შეესაბამება ეს აზრი ქრისტიანულ კანონიკას და თუ ასეა, როგორ მოინანიოს შთამომავალმა წინაპრის ცოდვა?

წინაპრის მიერ ჩადენილ ცოდვაზე შთამომავალი პასუხს არ აგებს. მაგრამ ეს ცოდვა ერთგვარად მაინც აისახება მის სულზე. ცნობილი ხალხური გამოთქმა “ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო” სწორედ იმას ნიშნავს, რომ წინაპრის ცოდვა აზარალებს და აბრკოლებს ადამიანს. უფალმა არ განირა თავისი საყვარელი ქმნილება, ადამიანი და ცოდვათა გამოსასყიდად იესო ქრისტე მოუვლინა. იესომ ჯვარცმით გამოისყიდა ჩვენი ცოდვები და მოგვცა სინანულის საშუალება, რათა სასუფეველში პირნათელი წარვდგეთ მის წინაშე... ამდენად, თუ ადამის ცოდვისგან ვთავისუფლდებით, მით უფრო შეიძლება დავძლიოთ ჩვენში საკუთარი წინაპრის ცოდვების მიმართ მიდრეკილება ლოცვით და ქრისტიანული ცხოვრების წესით.

ვიპოვე წმინდა გიორგის ხატი. ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება, რომ გავყიდო?

ჩვენ შეგვიძლია გირჩიოთ: თუ ხატს შინ დაიტოვებთ და მასზე ილოცებთ, უფრო მეტი მადლი და სიკეთე მოგეცემათ, ვიდრე მისი გაყიდვით ნაშოვნი ფულით მიიღებთ. ხატის პოვნა ღვთის განგებულებაა... ილოცეთ ამ ხატის წინაშე, შესთხოვეთ წარმატება და ჯანმრთელობა. გულწრფელი ლოცვით მიღებული ღვთის წყალობა ყოველგვარ თანხაზე უფრო მეტია.

მონატრება

დომენტი ნატროშვილი



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. 3 თვე ლოგინს მიჯაჭულიც კი ჩვენი დიდი იმედი იყავი. კეთილი, ალალმართალი, შრომაში დაღლილი და დიდი უბედურებებით დატანჯული წახვედი. ჯერ ჩვენმა შვილმა მოგიკლა გული. 22 წელია ლალის გზას გასტიროდი და იმის ბოღმით იყავი დამხრჩვალი. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი. შენმა სიკვდილმა ყველას გული დასწყვიტა. უამრავი ცრემლი გაგაყოლეს იმქვეყნად ოჯახის წევრებმა, მეზობლებმა, რომლებმაც დიდი პატივი გცეს.

დალოცე შენი და შენი ოჯახის დამფასებელი ხალხი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს და ცათა სასუფეველში დაამკვიდროს შენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი.

დედა ნანა, და ხათუნა, სიძე დეკანოზი გიორგი, დისშვილები ნინო, დავით, ილია, ნიკოლოზ, თეკლა, მარიამი, ქეთევანი, ბიძა ნოდარი, მამიდა ნათელა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

რამაზ ოზაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა დედოფლისწყაროში, 17 ნოემბერს.

მამიდა ნათელა, ბიძა რევაზ ალუღიშვილი, მამიდაშვილები ნონა, კობა. რძალი ქეთევან ტაველურაშვილი, სიძე კახა მაღლაფერიძე იუწყებიან

რამაზ ოზაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა თამაზაშვილი, მარინა ხარაშვილი, რუსიკო მეხრიშვილი, ცირა ხარაშვილი, ელიკო უთრუთაშვილი, ციალა გურაშვილი, ხუნუ ნატროშვილი, ლამარა ზურაშვილი, ნინო საბიაშვილი, დოდო გონაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მარინა და ანა ბიკაშვილებს მეუღლის და მამის

ჰამლეტის

გარდაცვალების გამო

ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის XIბ კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ლალი აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი სამადაშვილს ბებიის

მარო სამადაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფელ ზემო მაჩხაანის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მრევლი სამძიმარს უცხადებს მამა გიორგი ჯინაშვილს და ხათუნა ოზაშვილს

რამაზ ოზაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნანა ფიროსმანაშვილს შვილის

რამაზ ოზაშვილის

გარდაცვალების გამო.

გუნდური პირველობა საქართველოს ჩემპიონატზე კიკ-ბოქსინგში დედოფლისწყარომ მოიპოვა

2-4 ნოემბერს ქ.თბილისში საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკ-ბოქსინგის ფედერაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს მეცხრამეტე ჩემპიონატი კიკბოქსინგში. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა ქვეყნის ყველა ძლიერმა გუნდმა ვინაიდან ამ ასპარეზობაზე ხდება საუკეთესო სპორტსმენების შერჩევა დანაკრები გუნდის ჩამოყალიბება.

ჩემპიონატი ჩატარდა სხვადასხვა ასაკბრივ ჯგუფებში, კიკ-ბოქსინგის საერთაშორისო წესებით.

ამ შეჯიბრზე კიკ-ბოქსინგის ნაკრები გუნდი და თავისი აღსაზრდელები წარადგინა თამაზ ყარაგვეზაშვილმა. საქართველოს მეცხრამეტე ჩემპიონატი კიკ-ბოქსინგში დედოფლისწყაროს გუნდ „ჩემპიონისათვის" კვლავაც წარმატებული აღმოჩნდა.

- სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ აშკარად გამოიკვეთა ჩვენი ლიდერობა მედალოსანთა აქტივში და ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ გუნდური ადგილი კვლავაც ჩვენ გვერგო.

საერთო ჯამში კი სულ 17 საპრიზო ადგილი ავიღეთ. აქედან 5 ჩემპიონია. 7 მეორე და 4 -ც მესამე.

ჩემპიონები გახდნენ: ნიკა ფიროსმანაშვილი. მალხაზ უთრუთაშვილი, ვალერი ვაჭრიძე, გიორგი ღუღუნიშვილი და ხვიჩა ქოქუაშვილი.

მეორე ადგილი დაიკავეს: თორნიკე ლეკაშვილმა, გიორგი გომერშმიდმა, ნიკა პაპუაშვილმა, ლუკა მოდებაძემ, ლევან წიკლაურმა, ვანო ნათელაძემ, თამარ ჩიბუხაშვილმა.

მესამე ადგილს დაეუფლნენ: გიორგი ბასილაშვილი; გიორგი ბენაშვილი; ჯემალ ზოიძე; ზაზა თითილოკაშვილი;

ასპარეზობის დღეები საკმაოდ დამღლელია. დატვირთულია ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადაც. ზოგიც ჩატარებული ბრძოლის შემდეგ მიღებული ტრამვის გამო ვეღარ აგრძელებს შეჯიბრს, ზოგიც მარცხის გამო. მთლიანობაში კი უზარმაზარი დატვირთვაა, სპორტმენებისაგან მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას და ყველა ადამიანური რესურსის გამოყენებას. ამიტომაცაა სპორტი ადამიანის ცხოვრებისეული გაკაჟების საუკეთესო სკოლა.

ავღნიშნავ, რომ ამ ჩემპიონატზე კარგად იასპარეზა შეჯიბრების ყველაზე პატარა სპორტმენმა ლუკა მოდებაძემ. მან მაყურებელი გააოცა ვაჟკაცური თვისებებით და შეუპოვარი ხასიათით. ლუკა ვერცხლის მედლით დაბრუნდა შეჯიბრიდან და მომავალში ჩემპიონობისათვის იბრძოლებს.

ასევე ჩინებულად იასპარეზა ნიკა პაპუაშვილმა და ნიკა ფიროსმანაშვილმა, მათ დებიუტი ჩემპიონატზე საპრიზო ადგილებით აღნიშნეს და რაიონის ძირითად გუნდში ადგილიც დაიმკვიდრეს.

მსაჯებიც და მაყურებელიც გააოცა გიორგი გომერშმიდისა და გიორგი ბასილაშვილის სპორტულმა ოსტატობამ და მათ მიერ ჩატარებულმა ორთაბრძოლებმა. ბიჭებმა მოახერხეს ილეთების ლამაზად დემონსტრირება და მოწინააღმდეგებზე გამარჯვების მოპოვება.

აშკარა უპირატესობით ამარცხებს ყველას თავის წონით კატეგორიაში მალხაზ უთრუთაშვილიც და ჩემპიონი ხდება. ასევე გუნდის ერთ-ერთმა ტექნიკურად კარგად მოასპარეზე სპორტსმენმა გიორგი ბენაშვილმა შეჯიბრებამდე, ვარჯიშზე მიიღო ტრამვა, მაგრამ მაინც მოახერხა ასპარეზობაზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილიც მოიპოვა.

რაც შეეხება უფროსი ასაკის სპორტსმენებს, ამ ჩემპიონატზე დედოფლისწყაროელები ფავორიტებად წარმოჩინდნენ, ისინი წელსაც საუკეთესონი იყვნენ.

უაღრესად დაძაბული ფინალური დუელი ჩაატარა ლევან წიკლაურმა. მსაჯებმა დამატებითი რაუნდიც დაუნიშნეს. იქაც ბოლომდე დაიხარჯა ლევანი, მაგრამ გამარჯვება რატომღაც მის მეტოქეს მიაკუთვნეს.

როგორც ყოველთვის ვალერი ვაჭრიძე ორთაბრძოლის ორიგინალური მანერით და ზუსტი დარტყმებით იგებს ჩემპიონატს; ვანო ნათელაძე და მესაზღვრე გიორგი ღუღუნიშვილი დინამიური და ენერგიული სტილის ასპარეზობით სჯაბნიან მეტოქეებს, ჩემპიონატის ბოლო, ფინალური ორთაბრძოლას კი პირველსავე რაუნდში ზედიზედ ორი ნოკაუტით იგებს ჩვენი რაიონის ტიტულოვანი სპორტსმენი და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი ხვიჩა ქოქუაშვილი.

შეჯიბრზე მონაწილეობდა ასევე სპორტსმენი სოფელ ფიროსმანიდან ჯემალ ზოიძე, რომელსაც ავარჯიშებს ახალგაზრდა მწვრთნელი იოსებ ზოიძე. ჯემალი, რომელიც დებიუტანტი იყო ჩემპიონატზე თავი გამოიჩინა, მოიგო მეოთხედფინალი და ნახევარფინალში მცირე სხვაობით წააგო გამოცდილ მოწინააღმდეგესთან.

წარუმატებელი გამოდგა ეს ჩემპიონატი დავით ქადაგიძისათვის, რომელმაც წელს ორი დიდი ჩემპიონატი მოიგო. სამწუხაროდ ხანმოკლე დროში მოახდინა წონის დაკლება, რამაც ცუდად იმოქმედა მის ამტანობაზეც და ამიტომაც ვერ მოახდინა თავისი ძალების რეალიზება. ამბობს თამაზ ყარაგვეზაშვილი.

სპორტი

ნიკა ჩიტიშვილი - საქართველოს თასის მფლობელი

4-5 ნოემბერს დედოფლისწყაროს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაციის ორთაბრძოლების კლუბი „არმია" იმყოფებოდა საქართველოს თასის გათამაშებაზე სანდა-ში მწვრთნელების: გიორგი ცისკარაულის და ილია დაიაურის ხელმძღვანელობით.

როგორც კლუბის მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა „შირაქს" აცნობა, დაფინანსების არქონის გამო საქართველოს თასზე კლუბიდან მხოლოდ ორმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ესენია არიან ნიკა ჩიტიშვილი (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა) და გიორგი ნატროშვილი.

ნიკა ჩიტიშვილმა სამი დაძაბული ორთაბრძოლიდან სამივეს მოგება შეძლო და საქართველოს თასის მფლობელის ტიტულსაც დაეუფლა, ხოლო გიორგი ნატროშვილი მეორე ადგილს დასჯერდა.

შეგახსენებთ, ამ კლუბს უკვე მერამდენე თვეა სავარჯიშო დარბაზის პრობლემა აქვს. მათ უამინდობის

პირობებშიც სხვადასხვა ტურნირებზე გამოსასვლელად ღია ცის ქვეშ უწევთ ვარჯიში. დედოფლისწყაროელი სპორტსმენები საჭირო ფართით დახმარებას ითხოვენ.

გაზეთი „შირაქი" უკვე წერდა, რომ რამდენიმე დღის წინ ბაქოში სტუმრობისას მათ თანადგომა აზერბაიჯანულმა მხარემ შესთავაზა, თუმცა სანაცვლოდ სპორტსმენებს აზერბაიჯანის სახელით უნდა ეასპარეზათ, რაზეც მათ კატეგორიული უარი თქვეს და შემოთავაზებაზე არ დათანხმდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

აუქციონი

სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა აცხადებს პირობით აუქციონს სკოლის შენობის

ა) 70კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: ძიუდოს წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 500 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

60 კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: ხალხური ცეკვის წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 400 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

გ) 30კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი. მუსიკის წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება — 400 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

პირობები: ბიჯი-ქირის 5%.

სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა,მიზნის შესაბამისი საქმიანობის წარმოება. იჯარით არსებული ქონების გაფრთხილება. გადახდის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

პირობით აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. *განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.*
2. *„ბ" წლიური გადასახადის —10%*
3. *მონაწილეობის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი*
4. *ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა სახელით.*

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ან უცხო ქვეყნის იურდიულ და ფიზიკურ პირს.

განცხადება მიიღება გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შაბათ-კვირის გარდა.

პირობითი აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადების მიღება იწარმოებს მისამართზე:

არხილოსკალოს საჯარო სკოლა.

ტელ: 577 24 30 22, 593 68 80 02

ამინდი — დედოფლისწყარო

	შაბათი 17. 11	კვირა 18. 11	ორშაბათი 19. 11	სამშაბათი 20. 11	ოთხშაბათი 21. 11	ხუთშაბათი 22. 11	პარასკევი 23. 11
დღე	11 °	11 °	6 °	6 °	7 °	6 °	5 °
ღამე	4 °	6 °	5 °	5 °	5 °	4 °	4 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K